

მასხარა

„მასხარა“ საბუნჯო მასალების კრებულია.
დროებით აღრესი: Тифлисъ, Типографія
„Соранъ“ для „Масхара.“


№ 1.

1) ი ყ ი ღ ე ზ ა

ვერაზე (თფილისში) სამოსახლოები ძმ. მაკაროევის ადგილებში (დაგვიომეს გულ-უხვობით 45 დესტინა). ვისაც უკვე ჰქონდა ხელი მოწერილი, იმან უნდა წარმოადგინოს თფილისის სამეურნეო ბანკში 7 მ.; ვინც ახლა აწერს—6 მან. განზარტებითი ცნობები იყო დაბეჭდილი გაზ. „ხუზარაში“. დააშურეთ ფულის შემოტანა.

2) ი ყ ი ღ ე ზ ა

ვერაზე (თფილისში) სამოსახლოები და საბალები აღუქსანდრე გაბაევის ადგილში. დიდის თანაგრძნობით მიეგება ხალხის გაკირვებას: 7 1/2 კაპ. დასთმო ოთხ-კუთხედი საყენი. 2 1/2—3 ვერსტზე ძმ. მაკაროევის ადგილებიდან საერთო ვაკე-კალაში. ვისაც სურს, მიიღებს არა წაკლებ 1000: ოთხ-კუთხედი საყენისა. ამ თავით წარმოადგენს სამეურნეო ბანკში 3 მანეთს და მერე ისტუმრებს შეხვედრილ ფასს გრძელი ვადებით. დროებითი აღრესი: Тифлисъ, Типографія „Соранъ“ Севастиу М. Гачечиадзе.



დიდ მარხვია... გლოვის ზარი...
ვერული აქეთ კუდიანებს...
მოჰქრის კატით, ძაღლით, ცოცხით,
ვინც რომ ძმას—ძმას უსიანებს.

როპაპია განცხრომ ში...
ქვებს აღუღებს და ხდის ქაფებს.
დიდს და მცირე ქვეყნის ორგულს
ხალხის სისხლით აზიარებს!
ფხაჭი.



ბეშტია და ბენია.

(ტელეფონით).

ბეშტია:

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი გამოუტყდა საურთიერო ნდობის ბანკს: „ფულეები არა მაქვსო!“ და იმანაც უპასუხა: „მეც მაკლიაო!“ მაშინ ორივემ ერთად მიმართეს სამოქალაქო საბჭოს. საბჭომ ტირილი დაიწყო: მე სულ არაფერი გამაჩნია და მისთანა თავს ვეძებ, რომ საბჭოს ფეხები გამოაბას და ააშობრაოს. მართლაც, გადასწყვიტეს: თუ კი რუსეთმა ვარიაგებს მიმართა და მეფე მოითხოვა, ჩვენც რომ ქალაქის თავი ტფილისიდან გამოვიწეროთ, რა ცოდვა იქნებაო? აირჩიეს მოციქულები და გამოგზავნეს.

ბენია:

ჩამოვიდნენ აქ, ტფილისში, მოციქულები, მოადგენ ახლად მოვლენილ რიურისკს და სთხოვეს: ასეა ჩვენი საქმე... ქუთაისლები თავს დავეძებთ და აქ ვერ გვიპოვნიაო. მართალია, თავები იქაც არიან, მაგრამ იქაურები სულ იმას სცდილობენ, ერთმანეთს ტვინი გაულაყონ და ტვინგალაყებული თავი რაღას ვარგაო? ახლა შენთან მოვსულვართ, თაობასა გთხოვთ და ნუ გავგაწიბლებო!... ახალ-მოვლენილ თავადს ეფონა ეს ვედრება და უთხრა მოციქულებს: ცუდ მღვდმარეობაში მაყენებთ! ეგ ჩემთვის ძალიან პატარა საქმეა! ხელ-მოსაკიდებელი არ არის, მაგრამ თქვენისთანა დარბაისელ-მოციქულებს უარი როგორ გაუბედებოა?!. (გულში კი მოციქულის ანდაზა აგონდებოდა). სამ სათამბი დრო მომეცით მოვიფიქრო! მაშინ მობრძანდით ჩემსა, სადღიო მიირთვით და ყოლიფერს მოგახსენებთო! და-

აიმედა მოციქულები. თვითონ კი გაქანდა სახლისკენ და სტუმრობია გამართა. მიიწვია: გუბერნიის მარშალი, ქალაქის თავი, სეკრეტარი, ბანკის თავმჯდომარე და სხვ. ამ გვარი დიდ-დიდი ვინმეები. მაგრამ სტუმართ მოყვარობითა და პატივისცემით კი არა, არა! მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი მოწმედ დაისწროს, თავი გამოიჩინოს და ათქმევინოს მათ: ბიჭოს, რა ყოფილა ეს კაცი, ჩვენ რომ თურმე კიდევ ვერ ვაფასებთ კარგათ? აი როგორ ეხვეწებოდა და სხვანი... მართლაც სადღილზე ბევრი მომზადებული სიტყვა წარმოითქვა მასპინძლის გასაბერაფი და ბოლოს უარით გამოისტუმრა შინისკენ მოციქულები.

ბეშტია:

ჩამობრძანდნენ მოციქულები მეტად დაღონებული. ქუთაისელებმა სიცილი დააყარეს: სად მირბოდით, რომ მირბოდითო? „მეტეჩიარა ვაშლი ჯიბეში არ ეტეოდაო“ რომ იტყვიან, აბა, სწორეთ ეგ არისო და სხვანი. ერთმა ვითომ პოეტმა დელქსიც კი გამოსთქვა:

როცა უნდა პროკოფია,
როცა უნდა—ვლადიმირი!
ხან იანკი პოლოზ-ყაზახ,
ხან ქართველი, ვითომ გმირი!

აქაც არი, იქაც არი,
მაგრამ გულით არსად არი!
იმერეთის ეშმაკია,
ანგელოზის არ სადარი!

ახალი დროს შესაფერო
კაცი უნდა ამისთანა:

ხელთ უჭირავს მომარჯვებით,
მოსაკლავი სხვისი, დანა!..

დაჭირდება პროკოფია,
დაჭირდება—ვლადიმირი!
იმერეთში დიდი... დიდი,
ტფილისში კი გმირთა—გმირი!.

აკაკი.

* *

თუ სადმე წაგიციოთხავს
ოროდღე წიგნაკი,
გიოქვამს ცრემლებით თვალზედ:
შეიბრაღეთ მუშაკი;

თუ ჯიბეში გდებია
ძველი პროკლამაცია,
საშობლო აღარ გახსოვს,
აღარა გწამს ნაცია;

თუ თმა—წვერსა მოიშვებ,
საზნით ხელგებს არ იბან,
დაღლეჯილი დაღიხარ,
წითელ პერანგს კი იცვამ;

თუ არსად არ მსახურებ,
არაფრის ხარ მოხელე,
მიტინგებზედ ყოფილხარ,
გიოქვამს თუნდ სისულელე;

თუ როგორც მაწანწალოს
სოფელ-სოფელ გივლია,
გლთე-კაცი რომ გინახავს,
ცოდვით ცრემლი გიღვრია,

თუ სადმე მოგიბღაჯნავს
შენ ლანძღვის წერილები,
ან როდისმე გინახავს
ციხის კარბე-კედლები;

თუ გულით გენატრება
პროლეტარიზაცია
და ქვეყნის იდეალით
გაქვს ცენტრალიზაცია;

იციოდ, რომ გახდები
შენ ღუმის დეპუტატი,
რადგან ცხადათ სჩანს, რომ ხარ
სოციალ-დემოკრატი.

ეს ერთი.

ბენია შესახედავდაც სასაცილო იყო დაბალი და ძველ ტანისამოსში გამოწყობილი. მეფემ ერთხელ ეს ბენია შაჰთან შუაკაცად გაგზავნა. შაჰს მეტად გაუკვირდა ბენიას როგორც შეხედულება, ისე დაფლეთილი ტანისამოსი და უთხრა: ნუ თუ შენს მეფეს კაცი გაუწყდა, რომ გამეგზავნაო. ბენიამ საკბილო იშოვნა და ჩაიცინა: კაცს კაცთან გზავნის და მე შენთანო!

გ. გვანო.

ზ ლ ა კ რ ი

„ნაცარ-ქექია.“

(წინა სიტყვაობა).

ერთს ქვეყანაში მეფობდა
ვეშაპი—ცხრა თავიანი.

სასტიკი, გაუმძღარი
„ლაშქარ მრავალი-ყმიანი.“

თითოეულ თავსა უძღოლსა
ესხა ალმასის კბილები...

კბილს ლესდენ, თავთა აძღობდენ
ამა ქვეყნისა შეილები.

ვეშაპის თავთა მახლობლათ
ცისა კამარას ჰყვითავდის,
გაუმძღარი არწივი
და მალლით გადმოხედავდის.

მტარავლსა ყმანი მრავალნი
უხმოთ. უენოთ მონობდენ...
გაუმძღარის გაძღომას
სრულისა ძალით ღონობდენ.

აქმედენ ხორცსა მოყმეთა,
სისხლსა ასმედენ წყალათა
ათასგვარ სანოვავესა
პირში უჩრიდენ ძალათა.

ტანს უმოსავდენ მოყმეთა
ზურგზე ანაძრობ ტყავითა...
და მტერსა მასზე მოსულს
შეაკედობდენ თავითა.

ვეშაპს მიჰრინდა ვეშაპი
ლოთისაგან მოვლენილათა

მისგან შეწირულ მოყმეთა
არცა კი თვლიდენ შეილათა.

ყმთა მრავალთა სიგრძეზე
ეს წესი ასე ყყარობდა...

გალაღებულ ვეშაპი
სულყველა თავით ხარობდა.

ილესდა კბილთა მწვერვალებს
და იფერავდა ძირებსა.

მოყმეთა დასაშინებლათ
ფართოდ აღებდა პირებსა.

მაგრამ ბოლო აქვს ყველაფერს
(თვინიერ სიგრცე, ყამისა)

ფრიად შემცირდა მასალა
ვეშაპის თავთა ჰამისა.

შეკრბენ ერთხელად მოყმენი...
(გულს კრძალავა ედვათ მხეცისა)

სწამდათ რომ ესე ცხოველი
მოვლენილია ზეცისა.

ოდეს ზღვა რიცხვი მოყმეთა
ქუუ-გონებით ბნელია,

მათი ტრუ რწმენის წარბოცა
ერთობ მძიმე და ძნელია.

მაგრამ მოვიდენ კვალთა გონს.
სხვა გზა არც იყო სავალი...

მალა-განიერ ვეშაპსა
საზრდო სჭირდა მრავალი.

მძიმეთ დაფიქრდენ მოყმენი.
(ზოგ-ზოგი, არა სუყველა)

იკვლევენ: როგორ წაახრჩონ
ცხრა თავიანი წურბელა.

ზოგმა სთქვა: მოდი, მოვსტენობ
ვეშაპს ერთ-ერთი კბილით,
საქმელსა მცირედს მოითხოვს,
გადაგვირგება შეილით.

ზოგმა სთქვა: კბილი რას უზამს,
უნდა მოვკვეთოთ თავით.
იქნებ შეშინდეს, მოგვეზორდეს
გაუმძღარი სვავით.

სხვებმა სთქვეს: ამხანაგებო!
მერწმუნეთ ორნივე სცდებითო.
ეგ ხერხი საქმეს არ არგებს,
ტყვილა უბრალოთ სცდებითო

დავაკრათ ყველა თავები,
როს შევიხელოთ ყამით,
და სადმე გადაეთიროთ
მისი ბინძური გვამითო.

ვერა შეთანხმდენ მოყმენი,
გზა აირჩიეს მრავალი;

ყველას თავისი აზრი აქვს,
თვისი უებრო წაშალი.

მოსტეხეს ვეშაპს კბილები...
ძირი ალავას რჩებოდა
და უფრო მკრელი, ალმასი
კბილები დაიზრდებოდა.

თავიც მოჰკვეთეს გმირებმა,
(ზოგი ხომ ასე სჩიოდა)

მაგრამ მოკრალის ალავს
ახალი ამოსდიოდა.

გაშმაგებული ვეშაპი
მწარე ხმით გამოჰკიოდა;

ვისაც გაჰკრავდის კულის წვერს,
ყველა ჯურღმულში ცვიოდა.

ბევრი იმხვეგრბლა მტარავლმა
გაბედულ მოყმეთაგანი;

მაგრამ ისევე ოცნებათ
რჩებოდა ბრძოლის სავანი.

აშკარა იყო: ამა გზით
ვეშაპს ვერ მოაკვლინებდენ,
ამაოდ თავსა სწირავდენ
და სისხლსა აღვრევიანებდენ.

ამ დროს არ იყო სხვა ღონე,
მოყმეთა თავში ბნელოდა,

ბრძოლის დროს ერთი მეორეს
ღიხაბაც არა შეელოდა.

მაგრამ გავიდა დროება.
ცხოვრება გამოიცვალა,

ვეშაპის ლაშქარ—მოყმემაც
ბევრი ახალი ისწავლა.

ამხედრდა მთელი ქვეყანა...
(არა ერთი და ორი)

და ხალხსა აზღვავებულსა
აბა ვინა ყავს სწორია?!

შედრკა, შეშინდა მტარავლი...
სიკვდილსა ხედავს თვალთა
და სურს განიგრძოს ღღეები
ისევე ლაშქარითა ძალითა.

აქ შევაჩეროთ უბრობა
ამ ჩენი საუბარისა;
(მოყმეთა ბრძოლა ვეშაპთან
მძიმე ამბავი არის)

მას მომავალში მოგიხიბრობთ
რაც დამრჩა მოუთხრობელი.
ახლა კი ერთსა საქმეზე
ცრემლი მდის შეუშრობელი.

იმა ვეშაპის ქვეყანას
ერთი მალალი ბეჭია,
რომლისა ძირას ბინადრობს
ორი ძმა ნაცარ-ქექია.

ეშმაკი.

(შემდეგი იქნება).

**„მასხარას“ დეამუშათა
სააგმენტოსაგან.**

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

დ. ჭიათურა: მაღაროებში დაშავებულთათვის ავენტი საქირო აღარ არი, რადგან ეს საქმე ჩემის ნებთ ვიკისრე, მე ჩემდა სასარგებლოდ როგორც შავს ქვის მრეწველთა საბჭოს მწვერვამ.

აღ. გამრეკელი.

საქარის სანერგე: თანახმა ვარ სამედიატორო სამართალში გავყვე ბ. გ. ჩიქვაძეს იმ პირობით, თუ მედიატორები ჩემი დანაშაურობის შესახებ მსჯელობას არ იქონიებენ.

საქარის სანერგის გამგე **კ. გარაივი.**
სინამდვილეა გარაივის აღუტანტი

მ. ჭამკავაძე.

ახალ-სენაკი: საზიზღარი ხმებია გავრცელებული აქ—ამბობენ თითქოს მე ირაკლი ახვლედიანის შესახებ რამოდენიმე „დანოი“ დამეწეროს, რის მიზეზითაც ვითომ ის დაპატიმრებული იყო რამოდენიმე ხანს.—უცხადებ საქვეყნოთ, რომ ყველა დანოსები ჩემი დაწერილი არ არი.

ესე ბუა.

ბერლინი. ეს-ეს არის ბებელს ველაპარაკე. ძრიელ გაკვირვებულთა ქართველ სოციალ-დემოკრატის არჩევნების გამო, ვწუხვარო, სთქვა: რომ ნემცებს არა ყავთ ისეთი ღრმა ცოდნით სავსე პირნი, როგორც ქართველებს; ნემცები და რუსები შურის თვალთ დაუწყებენ ღღეში ცქერას ქართველ სოციალ-დემოკრატებსო.

ლომინია.

ბაქო. ჩვენ ქალაქში ღარიბები აღარ ცხოვრობენ. თითო თეთრი კენჭი ათ თუმანზე ნაკლებ არ იყიდებოდა. რაც კენჭები იყო მილიონერ ტავიევის შეილამა შეისყიდა და პეტერბურღში წაიღო სტოლიბინის კოლექციის შესავსებათ.



ნაბრძანებია: გადასახადები დაუყონებლივ გადაეხადებინოთ და ჩვენც ვხვლით...

„მ ა ს ს ა რ ა“

(კომედია-შარტი ორ მოქმედ. გაზეთ. ცხოვრებიდან)

მოკამედი პირანი:

ზურაბ დრუნცაძე—კანტორიკი.
გიტო წყიპურტიძე—კანტორის გამგე.

ლალო ლლაბუცია }
პარმენ კირკიტაძე } ექსპედიტორები.

იმერელი ბიჭი.
კვირიკელა—რაჭველი მუშა.
სტამბების ინსპექტორი.
გაზეთის დამტარებელი-
ხელის მომწერი.
გაზეთის გამყიდველი-

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს პატარა ლუქანს, სადაც გაზეთის რედაქციის კანტორაა. ორი კარები აქვს. შუა კარებიდან მოსხანს გვერდით ლუქანში დაწყობილი ფეხილით სავსე ტომრები. მარცხნივ კლოზეში სდგას „კანტორიკის“ სტალი, მარჯვნივ ექსპედიტორების. ლუქანში საშინელი სიცივეა. კანტორიკი და ექსპედიტორები მუშაობენ).

ზურაბ — (ხელუხს იფუნის და ფეხებს აბრაზუნებს იატაკზე) ბარ! გამყინა სწორეთ, ისეთი ცივა ამ ოხერში! კალამი ვეღარ ამიღია ხელში, რომ რამე გავაკეთო.

პარმენ — ცივა და მერე როგორ ცივა, თითი თითთან ვერ მიმიტანია! რაღაც ორი-ოდე ადრესი გვაქ დასაწერი, მარა კბილში თუ დავიჭერ კალამს და ისე დავწერ, თვარა თითები თითქო არ მქონდეს.

ლალო — თითები თითებია და შენ ესლა ფეხები იკითხე. ასე მგონია ფეხები აღარ მახია მეთქი.

ზურაბ — ბრ! ბრ! წყეული იყოს, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩავგავდო. სად რედაქციის კანტორა და სად ლუქანი? ვაგონილა რედაქციის კანტორა ლუქანში? თუ რამე ღონე არ ვიციანეთ და ცეცხლი არ დაეზათთ, გავიყინებით.

პარმენ — სტოლზე თუ დაანთებ ცეცხლს არ ვიცი და ისე არც ფეხია აქ და არც ჯანაბა. ეჰ! ასე არ შემცივდებოდა, კუჭი

რომ ცარიელი არ მქონდეს. გუშინ დილას აქეთ პირი არ გამიწყალაუნებია. როცა კაცი მაძლარია, მაშინ იმდენთ არ სცივა თურმე.

ლალო — შენ გუშინ დილას აქეთ არაფერი გიკამია და, მე რომ „შვიდეულს“ ვიღებ, ის არაფერია? სულ თუ არ გამიხმა კუჭი, სხვა არაფრის დარდი მაქ.

ზურაბ — ჭამაზე ლაბარაკს ესლა თავი დაანებეთ; თქვენ ისა თქვით რა მოვიგონოთ ისეთი, რომ შევითბეთ. შენი მტერია. ხელის მომწერი თუ შემოვიდა ვინმე, კვიტანციას ვეღარ დავუწერ და ხომ ვჭამეთ სირცხვილი?

ლალო — იცი, ბიჭებო, რა გითხრათ? მოდი, ერთი ლოთიანათ ვიკრივით და ისე შევხვრდებით, რომ შენი მოწონებული. (გამოდის შუა ოთახში).

ზურაბ — მართლაც რომ კაი მოგონებაა. ცოტა გვერდით კი გვეტკინება მუშტებით, მარა სამაგიეროთ შევთბებით. (ისიც გადის შუა ოთახში).

პარმენ — ეა! შენ კი გენაცვალე მეგ შუბლში, ლლაბუცია ხარ თუ ბაბუცია! ძაან არ მოიგონე? მოდი! მოდი! (გამოდის და ეცემა ლლაბუციას: სამივე დაიწყებენ კრიგს, შემოდის გაზეთის დამტარებელი).

გამოსვლა მეორე.

ივინივე და გაზეთის დამტარებელი.

გაზ. დამტარებელი — (წვივთა მოწყენილი. დაიწახავს თუ არა კრიგს, ჩავარდნა შუაში და აშველებს) დაჩრდილი! გაჩერდი! არ გრცხვენიათ? რას შერებთი, კაცო? (წაყრავს ხელს ხან ერთს და ხან მეორეს. ორსამ მუშტს მასაც უოვახებენ. სამივე გაჩერდნა და ხარხარებენ) რა გაციანებთ თქვე ოხრებო! ეს რედაქციის კანტორაა თუ ავლაბარის მოცდანი? არ გრცხვენიათ? რომ უცხო ვინმე შემოვიდეს, რას იტყვის! რა გავქით, გასაყოფი, თავს რომ უტეხთ ერთმანეთს?

პარმენ — შე სულელი! შენ გგონია,

მართლა ეჩხუბობთ? შეგვეცივდა, შე აბალავ, და ცოტა შეეხურდით.

გაზ. დამტარებელი — (ხარხარებს) თქვე ოხრებო და, ბიჭო, ცეცხლს ვერ დაანთებთ, თუ გცივათ? მაგისთვის თვე-პირს რათ ამტრევთ ერთმანეთს?

პარმენ — ცეცხლს დიდს სიამოვნებით დავანთებდით, გენაცვა; მარა საუბედულოთ შემავაკლია და შეშაქ რომ გეკონდეს, დასანთებთ ალაგიც არ გვაქ. ხელის გულზე თუ დევიანთებთ, არ ვიცი, თვარა სხვა ალაგი არ არის.

გაზ. დამტარებელი — ბიჭო! და მერე რათ იქირავეთ ასეთი ლუქანი? კაი ოთახს მოენახვილეთ სადმე, სადაც ფეჩი იყო და ცეცხლსაც დავანთებდით.

ზურაბ — კიდევ მაღლობა ღმერთს, რომ ეს ლუქანი ვიშოვეთ. მთელი თფილისის ყველა სახლები მოვიარეთ და სადაც კი გაიგონებდნენ გაზეთის სახელს, პირველის წერით უკან გარბოდნენ ასე ეგონათ. ეშმაკი გამოგვეცხადო.

პარმენ — ერთ ალაგას მივედი ოთახის დასაქირავებლათ და მე რომ იქ დღე დამაღდა, იმისთანა თქვენ მტერს. დაფრეკე ხარი. კარები ვილაქ შუახნის დედა-კაცმა გამიღო. ენახ ოთახი. მომეწონა და ფასზე გავუბრდი. ბოლოს მკითხა, რამდენი კაცი იქნებოთ შიგო. მე ვუთხარი შიგ არაინი იხსოვრებს, აქ რედაქციის კანტორა იქნება მეთქი. ვახსენე თუ არა რედაქცია, იმისთანა შენ მტერს, მართო ქაღმა კიციელი, მარა რა კვილი! სულ ცას სწვდებოდა მისი ხმა. იცოცხლე, ვიკადრე გაქცევა! მოვიშვლივ მე ქული, გზაში არ დამეკარგოს მეთქი და გამოვიარდი. ჩემდა უბედურათ კარებში ეხოს ძალღი მეცა და ახალი შალვარი სულ შემომახხია. როგორც იქნა გვაასწარი სამშვიდობოს, თორემ შენი მტერია მე დღე დამადგებოდა. (ყველანი ხარხარებენ).

გაზ. დამტარებელი — უჰ! რა ოხერი ღოო დავიდეგა! თქვენ ეს მითხარით, ბიჭებო, გიტო არ მოსულა?

პარმენ — გიტო რათ გინდა?

გაზ. დამტარებელი — რათ მინდა და ჯამაგირი მინდა.

ლალო — ჯამაგირი რათ გინდა?

გაზ. დამტარებელი — თქვე ოხრებო! როგორ თუ რათ მინდა ჯამაგირი? საქმელი მინდა, საქმელი, გამიხმა კუჭი!

ზურაბ — (დაჯდება სტალიან) თუ ძმახარ. საქმელს ნუ ახსენებ, თორემ გული წამივა.

გაზ. დამტარებელი — შენ თუ გული წაგივა, მე კი არ წამივა? ორი დღეა ლუქმა აჩამიღვია პირში.

პარმენ — მეც შენზე ნაკლებათ არ მუშია მარა რა ვქნა! ვკრეკ კბილებს და ვითმენ ხან და ხან ისე ამეწყვება კუჭი, რომ სულ წელში ვიგრიხები, მარა რა ვქნა? გიტო იას ყოველ დღე ვხედავ, მარა მისმა მზე რამ ჩემ კუჭს არაფერი არ უქნა.

გაზ. დამტარებელი — ერთი დამენახ გიტოე და რასაც უზამდი მე ეცოდინ

ლალო — თვითონ ხომ არ შექმამდი?

გაზ. დამტარებელი — შევექამდი და მე ტსაც ვუზამდი! (შეშლის გიტო წყიპურტიძე



პირი: ერთი ასეთი გამარჯვებაც და დავიღუბე!



გამოსვლა მესამე.

ივინიევ და გიტო წყობურტიძე.

პარმენ—ფრთხილათ, გიტო! ფრთხილათ, თორემ დამტარებელი შეგკამს, ახლო არ მივფარო, (ოცხთან)

გიტო—რა ამბავია?
გაზეთის დამტარებელი—ფული! ფული! მოიტა ფული!

პარმენ—მეც მინდა ფული!
ლადო—მეც!
ზურაბ—მეც!

გიტო—მეც მინდა ფული!
გაზეთის დამტარებელი—რა გამასხარებთ. ჯამაგირი მერგება და მომეცი.

გიტო—რა ჯანაბიდან მოგცე, თუ კი არ არის?

გაზეთის დამტარებელი—მაშ, რა ექნა, კაცო, შიმშილით კუჭი მეწვის!

ზურაბ—მეც მშია!
პარმენ—ვაი დედა, მუცელი!
ლადო—ვაი ერთი ცხელი საქმელი!

გაზეთის დამტ.—ჯამაგირი მომეცი, კაცო! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, მშია და რა ვქნა?

გიტო—გაიფრტე ძმაო, ფული არ არის და ცოტა მოითმინო უნდა. თუ მაინცა და მაინც გშია და საქმელი არა გაქ, აი, დაიდევ წინ და ტლაკე. (იღებს დიდ ნატებს პარისს, მისცემს ხელში. ყველანი იცინიან. შემოდის იმერელი ბიჭი. ხელში ტომარა უჭირავს. მივა ღრუნცაქმესთან და დადებს სტოლზე ტომარას).

გამოსვლა მეოთხე.

ივინიევ და იმერელი ბიჭი.

იმერელი ბიჭი—აბა! ხაზენ! ჩქარა ერთი ფული ფქვილი! ჩქარა ამიწონე, მე-ჩქარება, (დაუღებს სტოლზე ფულს. ყველანი იცინიან).

გაბურებული მოძრაობაა. ერთ ადგილზე ველარაინი დამდგარა. მარჯვნივ თუ წავედი, „შევი რაზმი“ აღარ დამზოგავს,—მარცხნივ თუ წავედი და „წითელი“ აბა, ამაზედ არის ნათქვამი:

„საითაც გავიქეციო, იქით წავექეციო, ახანოში ვიბანე, გამოწყევა ქეციო! აღარ ღირს სიცოცხლე. ცოლშვილო! მშვილო...ბით! (ვარდება წყალში).

იმერელი—იმე! ღმერთო კი მომკალი! რაღა დაგიკლაპავენ თვალეზი და იცინით? რა მაქ სასაცილო? ამიწონე ფქვილი ჩქარა და თქვენ თუ გინდა იცინეთ, რამდენიც გინდათ.

ზურაბ—(სიცილით) რა ფქვილი! რის ფქვილი, კაცო?

იმერელი—იმე! რა ქვილი და პურის ქვილი, შე კაცო. ჩქარა, არა მცალია.

გიტო—(მივა ახლო და უყვირის) აქ, ჩემო ძმაო, ფურნე არ არის, რა ფქვილიო? ქუუაზე მოდი.

იმერელი—რა გაყვირებს ძმაო, ფურნე რომ არაა, მეც ქე ვიცი, მარა ქვილი ათასჯერ მივიღია აქნა, და თუ ხათრი გაქ, ამიწონე, მეჩქარება, დამაგვიანდება. (მივა ღრუნცაქმესთან და ეწევა).

ზურაბ—(გაუშვებინება) ხომ არ გაგაფელი, ძმაო! თავი დამანებე ერთი.

იმერელი—ქვილი მინდა, ძმაო, ქვილი!

გიტო—(უყვირის) ფურნე არაა აქ, არა!

იმერელი—გევიგონე, ძმაო, რომ ფურნე არაა აქნა, ქვილის საწყობია და მომიწონეთ ორი ფულით.

გიტო—(კიდევ უფრო ხმა მაღლა უყვირის) შენ გეუბნებიან, ჩვენ აქ ფქვილს არ გყვით, არა, არა!

იმერელი—სხვას თუ კი აძლევთ, ჩემი ფული არ ვარგა თუ? (იღებს ტომარს და დააფრთხებს სტოლზე. ღრუნცაქმეს ფქვილი შეაყვავა თმასა და წვერში).

ზურაბ—(წამოვარდება გაბრაზებული) მოგეშორდი, ვილაც გიფი ოხერი ხარ. აქ ღუქანი არაა, აქ გაზეთია, გაზეთი, „საყვირი“.

იმერელი—(დაფხიანდება) რას ვეყირი? შენ თვითონ ყვირი და მე მეუბნები, რას ყვირიო? გიფიც ხარ და სუნელიც.

ზურაბ—დიკარგე აქედან. (დაუღვდებს ტომარს. იმერელი მივარდება დრ... ქეს და უნდა გაარტყას, მას მიეშველებიან წყობურტიძე, ლაბუტია და კირკიტაძე, მიესვნიან იმერულს და კონწის კვრით ვაგვდებენ გარეთ).

ფ ა რ ა .

მოქმედება მეორე.

გამოსვლა პირველი.

(ივინე კანტორა. შუაში მავალი სღვასტეცხლით, კუთხეში ნახშირი ალაგია. ღრუნცაქმე, ლაბუტია და კირკიტაძე სხედან თავთავიანთ ალაგას და მუშაობენ).

პარმენ—მოგეტათ სიცოცხლე, ჩვენ ვავთბით, (მივა მავალიან და ხელებს იბობს) მარა ერთი უბედურობა თავის დღეში არ მომტკილდება. რაღაც თავში მიქუხუნებს და რა ამბავია, არ ვიცი.

ლადო—მეც საშინლაო მტკივა თავი.
ზურაბ—თავიც საშინლაო მტკივა და გულიც მტკივა. მგონია დავიღუპეთ, „უგარი“ მოგვივლიდა.
პარმენ—მეც ვფიქრობ, რომ „უგარი“ აქ.

ლადო—მართლა თუ „უგარი“ა, რაღა გეშველებზე?
ზურაბ—ვაი თავი! (ხელს მოიკერს თავზე).
პარმენ—ვაიმე!

ლადო—გასქდა თავი. (ყველს თავზე ხელები უჭერია და დადიანს).
პარმენ—გამიგონია „უგარი“ს დროს მართლი უნდა ჩაყარო თურმე ცეცხლში. მოდი ჩაეყაროთ.

ზურაბ—თუ კარგია, ჩაეყაროთ.
პარმენ—(მოიტანს დიდრონ ნატყვ ქვა მართლს და ჩაყარის ცეცხლში. ცოტა ხნის შემდეგ მართლი გასქდება და ყველანი სტოლებზე ქვეშ შეძვრებიან. შემოდის გაზეთის გამყიდველი).

გამოსვლა მეორე.

ივნივე და გაზეთის გამყიდველი.

გაზ. გამყ.—(გაოცებით აქო იქით იყურება) ვა! საღ ჯანდაბაში წასულან. აქ არავინ არ არის, (შეიხადებს სტოლ ქვეშ და დანახავს კირკიტას) ვა! პარმენ ჯან! ეს რა ამბავია, კაცო? მალულობის ხომ არ თამაშობ? რას შემძვრალხარ სტოლ ქვეშ?
პარმენ—„ბერეგის“, გავარდა.
გაზ. გამყ.—რის „ბერეგისა“, ხომ არ გაჯედი!

ზურაბ—„ბერეგის“! გავარდა!
გაზ. გამყ.—ვა! დრუნცაძეც სტოლ ქვეშ შემძვრალა. რა ბერეგისო, კაცო, რა ამბავია? (ამ დროს გასქდება მართლი, დრუნცაძე და ლაბუჯია თავებს ჩაღუნავენ, გაზეთის დამტარებელი ერთი შეხტება, თვლებზე ხელეხს მიფარებს და კუთხეში მოიკრუნხება).
პარმენ—„ბერეგის“! მოვიდა კიდე.
გაზ. გამყ.—ეს რა ოხრობაა! ბომბები ხომ არ მოვიწყვიტათ, თქვე ოხრებო! ღმერთო მიშველე. მოიტათ გაზეთები, წყვიდე, ხიფათს არ შევემთხვა აქ. (დრუნცაძეს) გაზეთები მომეცი. (დრუნცაძე კუთხისკენ უთითებს. გამყიდველი უტბათ აიღებს გაზეთებს და გარბის. შემოდის ხელის მომწერი).

გამოსვლა მესამე.

ივნივე და ხელის მომწერი.

ხელის მომწერი—(შემოდებს კარებს; გაჩერდება ერთ ლაგს და ათვლიერებს ღუქანს, ამოიხრება) ოჰ! რა დრო დავიღედა! განა ასეთ სანაგვე ღუქანში უნდა იყოს რედაქციის კანტორა? ნეტა როდის უნდა მოვდოს ბოლო ასეთ მდგომარეობას? არვინ კანტორაში არ არის! ან კი ვინ გაჩერდება ამისთანა ღუქანში?
პარმენ—(სტოლ ქვეშ) „ბერეგის“!

ხელის მომწერი—ბიკოს! ეს ვინ ყვირის? (შეიხადებს სტოლ ქვეშ და გაცივება) საწყლები გავიყვებულან. რას ემალებით მაქ, პოლიციელებს ხომ არა? თუ შემოვიდენ, ნუ გეშინიათ, მაქაც გიპოვებინან. გამორდით ნუ გეშინიათ. (დრუნცაძეს თითს უჭნებს) გამოდით, ერთი გაზეთი გამომიწერე.

პარმენ—„ბერეგის“ მოვიდა! გავარდა! (ხელის მომწერი შიშით აქეთ იქით იხედება. უტბათ მასკდება მართლი. ხელის მომწერი კისრისტებით კარებისკენ გარბის. კარებთან სტამბების ინსპექტორს დაეჯახება და ორივე კარებში გავორდება. ხელის მომწერი უტბათ წამოხტება და გარბის. შემოდის სტამბების ინსპექტორი).

გამოსვლა მეოთხე.

ივნივე და სტამბების ინსპექტორი.

სტამბ. ინსპექტორი—აი, მოგტყდა კისერი! დამამტკრია, ვილაც გიყი ოხერი იყო! (პალტოს იფრთხავს) სწორეთ საძაგე-ლი ხელობაა ეს სტამბების ინსპექტორობა. გამოეჩნდები თუ არა რომელიმე გაზეთის რედაქციის კანტორაში, ისე მიყურებენ, როგორც მეგლს, ჩემ დანახავს თავი ქირის დანახვა ურჩენია ყველას. აი ვეზოც ალბათ ფანჯარაში დამინახა ვილაც ოხერი იყო და გაიქცა. იმ უბედურს პოლიციელი ხომ არ ევგონე? კიდეც მალლობა ღმერთს თავზე არ დამეცა, თორემ მაშინ უნდა გვენახათ ჩემი გვერდების ტკივილი. (მიიხედ - მოიხედავს) აქ არვინ არ არის. ყველანი ვაქცეულან. საით გაიქცენ ნეტავი? მე ერთი დამეჯახა კარებში და დანარჩენები მიწაში ხომ არ ჩაძვრენ? (დანახავს დაწყობილ გაზეთებს) ჰოო! გაზეთები აქ არის და მე სხვა არა მინდა რა! წავიკითხავ საცენზურო კომიტეტის დადგენილებას, წავიღებ გაზეთებს და მორჩა, ვათავდა. (მოიხის ქუსლს, დადებს სტოლზე, ამოიღებს ქალაღებს და კითხულობს) „წყალობითა დგისთაა, და ქვეყნისის საცენზურო კომიტეტის დადგენილებებისათა, დატუსაღებულ იქნას გაზეთ „საყვირი“ს მესამე ნომერი.“ (გათავებს კითხვას, მივა გაზეთებთან და უნდა, აიღოს. კირკიტაძე მუჯღუფუნს წაყრავს ლაბუჯიას).
პარმენ—(უშობთ) ბიკო! ლაბუჯია! ეს სტამბების ინსპექტორია. მოდი ერთი ვუჩვენოთ ფეთება. შენ უფრო ბოხი ხმა გაქ და დიდრიალე ერთი.

ლადო—(დაიყვირებს) „ბერეგის“! მოვიდა! გავარდა!
სტამბ. ინსპექტორი—(უტბათ შერბობა და აქეთ იქით იხედება) ეს რა ეშმაკი იყო! ვინ დაიყვირა! (ათვლიერებს კუთხეებს) ალბათ მომესმა, თორემ აქ არავინ არ არის. (დასწვდება ისევ გაზეთებს და უნდა აიღოს. ამ დროს მართლი საშინელ ჯახანს მოიღებს. ინსპექტორი საშინლაო დაიღრიალებს და გარბის. ქუსლი იქ დარჩება. დრუნცაძე, ლაბუჯია და კირკიტაძე სტოლებიდან გამოძვრებიან და იცინიან).

პარმენ—(ხარხარებს) ვაჩვენეთ ხომ ფეთება! ჩვენ კანტორაში აწი მაგი თავის დღეში აღარ შემოვა. ახლა აღარც თავი მტკივა და აღარც ფეხები. „უგარის“ დროს სიცილი კაი წამალი ყოფილა.
ზურაბ—(დაჯდება სტოლთან და ხელზე დაეწინობა) მე უარესათ მტკივა თავი და გულიც მტკივა. (გულზე ახიდებს).
ლადო—მეც საშინლაო მტკივა, (იხასაც გულზე ახიდებს, დაჯდება. ნელა გაიღება კარები და ხანტათ შემოდის რაქელი მუშა. ზურაბზე ხუთ ფუთიანი ფეხილით სავსე ტომარა მოუღვია. შემოდის ხენუმით და დრუნცაძესთან მივა. კირკიტაძე ხარხარებს).

კვირიკელა—(მოსწევს დრუნცაძეს) ქვე შენი ქირიმე, მომიწონე ეს ფეხილი.

ზურაბ—(გულზე ახიდებს. ხელს კრავს რაქელს). წა...აა...ლი!

კვირიკელა—ქვე შენი ქირიმე, მომიწონე!

ზურაბ—(ვაჯვრებით) ვინ ხარ შენ?

კვირიკელა—ქვე შენი ქირიმე, მე კვირიკელა ვახლაყარ. ფეხილის აწონა მინდა.

ზურაბ—(გულზე ახიდებს) გიყი ხარ? აქ ფეხილის საწონი არაა.

კვირიკელა—ქი! შენ თვითონ დამნეულხარ! აქ ფეხილის საწონია. ავთ ხარ ქი? მე გასწავლი წამალს: გულზე ზიდება რომ დაგეთხოვოს, მოტლიაკე მართლი და მაშინვე გაივლის. (მობრუნდება და უნდა სტოლზე ჩამოსდოს ტომარა. დრუნცაძე წამოვარდება და გაბრაზებით უყვირს).
ზურაბ—აქ ფეხილის საწონი არაა, აქ „საყვირის“ კანტორაა, „საყვირის“ (გულზე ახიდებს).

კვირიკელა—ქვე, შენ თვითონ კვირი და მე მეუბნები რას ყვირო ქი?

ზურაბ—აქ „საყვირის“ კანტორაა „საყვირის“, საყვირის!“ (წამოვარდება და უნდა გაივთ გაავლოს).
კვირიკელა—მე არ ყვირი ქვე! და შენ კი ვინმეს შეალოცვიე უშუპური შეგხევიდა. (გადის).

ზურაბ—(გულზე ახიდებს) ლაბუჯია! კირკიტაძე! დროით (გულზე ახიდებს) მოვეშორდე აქაურობას, თორემ ერთი გიყიკიდე შემოხეტება ვინმე.

პარმენ—წავიდეთ, წავიდეთ. არჩვენების ბრალია ჩვენი ამ დღეში ყოფნა. (სამნივე წამოვარდებიან, ალაგვებ სტოლს და „ვაი“ გაიქ ხმაზე მღერიან.)

• არჩვენების ბრალია ჩვენი თავის ტკივილი. თუ შეგვტყვეს აქ ყოფნა, ნახეთ ჩვენი კივილი.

სახლს აღიარებენ გეპიღვეს. ან რა გასაკვირია: შავი ქირი გონიათ საბრალო „საყვირის“.

რაც „უგარმა“ დაგვაკლო, შეგვიცემს პოლიცია, ჯამაგირს ოხრათ დაეტოვო, გიტოს არ მოუტია.

ჩვენი ტანჯვა-წვალება სულ მთავრობის ბრალია, რომ გავზავნოთ ღუქანში ვინმე ხულიგანია.

(თავზე ხელები აქეთ მოჭერილი და ისე გადიან სამივე.) ფარდა.



— როგორ, ერთი კაცის მოკლეცის უნდა ჩამომხარჩოთ?

პოლიციელი—რა ჩენი ბრალია, მეტს მოკლავდი...

დავრინის თეორია.

უძლენი კ. თავართქილაძეს.

ოპ, სიყალბე, უღმერთობა! ჩამ მოგვარა დავრინს ფიქრში, თითქოს კაცი, ღვთის ხატება, მიმძღვინს იცოს ჯაში?

მეგრამ ერთგან რომ უეცრად სიდიდულოდ დაგინახე — „დავრინო, შენ მართალი ხარ!“ — უნებურად დავიძახე.

ფხაჭი.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი.

(არაკი, გადმოღებული ფრანგულიდან).

ძველებური სამართალიო, შენი მადლი ამოვარდა, — ყოველიფრის ნიჭი გქონდა სამართლიანობის გარდა!

ერთ კაკლზე ორ მოღავეს უცბათ შეხვდა სამართალი! თან მოჰქონდა ილიითა ლადარიკონ-სასწორ-ადლი. — ჩემიო, მას შესჩვილა ერთმაცა და მეორემაც და შეუღდენ მომჩივარნი ერთმანეთის ტყუბა-ცემას.

სამართალმა კაკლის კანი გადახლიჩა მათს კიეინში: თითო ხეპკო მათ უჩიტა, ნებალო კი იქრა პირში.

ოპ, ბუალოვ, გონ-მახვილო! ამ არაკით შენ სთქვი, რომე საჩივრების ანგარიშზე იკვებება... მართველობა!

ფხაჭი.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა.

(დაზნაბრებელ საზოგადოებისა).

დაზარალებულებისთვის ვერცხლ-ოქრო გვაქვს მთელი გობი; ვისაც ნებავის დახმარება, შემოგზავნოს **ი ა კ ო ბ ი.**

რ უ ს უ ლ ი დ ა ნ.

მიყვარს ზოგჯერ სარკმელიდან მე ქუჩაში ჰერეტა-შერა, ამვლეღ-ჩამვლეღს ბევრს ვხედავ; კაცურ-კაცს კი—ერთსაც ვერა!

* * *

პირამთქმელი წერით, სიტყვით, ყურადღებას ვიპყრობ ოდეს, ვიცი—ნაცნობს ბევრს შევიძენ, მეგობარს კი—ვერასოდეს!..

თ. მაგამაძე.

ნ ა კ ე მ ე ს ე ბ ი.

სამი ღვა.

პეტერბურგიდან ჩამოსულ პოეტს შეეკითხა რედაქტორი: რას ამბობენ სტუდენტები ჩემ ჟურნალზე?

— მიმართულებას უწუნებენ.

— კიდევ? არკი გამოესცვალე: მართალია, აქამდი მსელეთით ვაგზავნიდი, მაგრამ ახლა, ეს ერთი ხანია, ზღვით ვაგზავნი, ოდესაზნო!..

— ეგ სულ ერთია, რა გზითაც აგზავნი!.. მწერლობის მიმართულებას გიწუნებენ!..

— ჰმ! მაშ ჯერ არ ექნებოთ წაკითხული ჩემი ახალი ლექსი „კახეთში მოგზაურობა“, რომელიც ასე იწვება:

მივალ, მივალ, მივიღვარ,

მივალ, მიმიხიარნი!

ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ,

ჩავალ, ჩამიხიარნი და სხვა.

თუ ესეც აღარ არის მიმართულებით დაწერილი, მაშ რაღა ჯანაბა არისო?

აკაკი.

ც ხ მ ლ - ც ხ მ ლ ი ა მ ბ ა ბ ი.

ამნისტია დიწყო. ალექსანდროვის ბაღს სატუსაღოს კარები გაუღეს და გაათავისუფლეს. ამ ამბავმა ყველა გაამხიარულა და მისალოცათ გაემგზავრენ.

თბილისში დაშნაკაკანების დამარცხების გამო ავლაბარში ლანძღვა-გინებამ იკლო. ავლაბრის დაშნაკაკანები ქალაქის მომავალ არჩევნებისათვის ემზადებიან. ქალაქის თავით ბაჟაკს ასახელებენ, ვინაიდან მას ავლაბრული ლანძღვა-გინების უნარი გამოაჩნდა „თამანიასი“ ფურცლებზე. ზინჯორებისთვის ინგლისიდან გამოიწერეს ახალი სისტემის თოფები, რომლებიც მუგუზლით გაეღრმება. ქალაქის არჩევნების დროს დიდი „სვრანი და ძვრანი“ მოხდება.

ს ა ზ ი რ ო ა „ ზ ა პ ა ს ნ ი “

რ ი მ ა მ ტ ო რ ი.

იუმორისტულ გაზეთისათვის.

ჯილდოთ მიეცემთ:

- 1) ბევრდების შეხელა და ცხერი პირის ჩამტვრევა,
- 2) არხანგელსკის ეუბერნიაში გადასახლება,
- 3) მეტების ციხეში ჩაბანება,
- 4) და, თუ გაბეღულათ მოიქცევა, (რასაც ჩვენ მოვიხიოთ) ელფურ სასამართლოს წინაშეც ამოყოფს თავს.

ნ ა რ მ ე ბ ი.

როცა ვირი დაინახავს ბნელ ღამეში მგლის ანთილ თვალებს, თითონ მაშინვე დახუკავს თვალებს—ჰგონია, რომ ვეღარ დაინახავს და ზიფთოს გადავრჩებიო. ასე არ შეება ყველა, ვისაც არ უნდა სიმართლის გაგონება?! ასე არ შეება, როგორც უნდა იყოს მართველობა, როცა ის ავიწროებს სიტყვის თავისუფლებას და ჰგონია, რომ ამით მისთვის უსიამოვნო სიმართლის მხილებას აიცილენს?!

ერთმა ხულიგანმა გაუარა გვერდით სახარბოელას, სადაც ეკიდა დასჯილი და ქული მოხიზდა.

თან ახლდა მას ახალ-გაზრდა აზრების კაცი და გაკვირებულმა ჰკითხა: მორჯული, პატვის ნიშანი მიეცი წამებულსაო?

— არა! პატივი ვეცი მართლ მსჯელობასაო, მიუგო ხულიგანმა.

ღებუროვნმა შეიძრაბა: ნუ თუ ჩვენ ვერ ვიხსნით რუსეთს განსაცდელიდან? ბატებმა არ იხსნეს რომიო? საბრალომ ის კი არ იცოდა, რომ ღორი ბატი არ იყო!

ისე გაღის გრინგმუტის გაზეთი, რომ სხვა ქალაქს აღარ ხმარობენ ფხვის აღგილებში!

— ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ჯიბრილო: ერთი ახალი ამხანაგი კიდევ შეგიძენია.

გაკონის, გეზვევა, გიძვრება სულშიო!

— მადლობელი ვახლავარ, ღმერთმა მტერსაც ნუ მოუშალოს ისეთი ამხანაგი: მიძვრება სულში?.. ვახლავს—ჯაშუშიო!..

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა

ა მ მ . „ მ ო რ ა პ ა ნ ი “

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათვის კენჭულზე ქ. მუხრანის სახლში № 1.



ზინვორები: ეგ შენ გაბედე, რომ „ხუმარაში“ ძლიერი ლომი კატათ დახატე და უძლეველი დაშნაკაცკანი სამასხროთ ქვეყნის გახადე?!... ჩქარა პასუხი!... თორემ იქექებს ჩენი ძვირფასი მაუზერები და შენ მოსარჩლე სოციალისტებს ნიშნათ დარჩებათ ეგ შენი ძვლები!...

მხატვარი: ერთი მითხარით: რამ შეგაშფოთათ, რამ მოგივლინათ ესრეთი ქირი, თუ რომ პილილი არ გიქაშიათ, მიკვირს, ღმერთმანი, რათ გეწვისთ პირი!?. მაგრამ რას ვამბობ? ახ, უკაცრავათ! თქვენ მგონი ხალხმა ერთხმა გაგმურათ და ამას იქით მეც შეეცვლები დაგხატოთ ყველა ჩენენებურ მურათ!...



მამა ქსენეფონტე: ვაზუსვენე უფალო მხეველსა ამას! მერეთ დუშის გამორეკამდის! დიდება შენდა დუბროვინო! დიდება შენდა!



ქალბატონი: მოფსიკ, მოფსიკ, მოფსიკ!
კინგო: ვაჰ, თუ არ მინდა?!
 ასე ცულია ხალხსა და მართებლობას შორის გაუგებრდება!

გამომცემელი რახილ კალანდაძე.